ხელშეკრულება N106
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 15 ივნისი 2023 წელი

ერთი მხრივ, სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის სოფიო გორგოძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ორიენტ ლოჯიკი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილი სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში - „ხელშეკრულება”) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება” – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია საკაბელო ინფრასტრუქტურის მონტაჟი (**CPV: 45314300**). შესყიდვა ხორციელდება 2023 წლის 13 ივნისის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №1748 განკარგულების (**SMP230001556**) საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში (დანართი N1-ში).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **234 786.00 (ორას ოცდათოთხმეტი ათას შვიდას ოთხმოცდაექვსი)** ლარს.

3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულებები მითითებულია ფასების ცხრილში (დანართი N3-ში).

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შემსყიდველი ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდას განახორციელებს *2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (კოდი 32 04 01 02 სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროგრამებისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან).*

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი თითოეული საგამოცდო ცენტრის მიხედვით ფაქტობრივად გაწეული მომსახურებისა შესახებ.

4.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.5. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მომენტისათვის არსებული აუთვისებელი/გამოუყენებელი თანხა რჩება შემსყიდველთან და იგი არ წარმოშობს რაიმე დამატებით ვალდებულებებს მიმწოდებლის მიმართ.

მუხლი 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. გამოცდების დასრულების შემდეგ საგამოცდო ცენტრებიდან სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ჩამოტანილი აპარატურის ჩაბარებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს საფინანსო-სამეურნეო სამსახურის ელექტრიკოსი **ონისე ხადური.**

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილები (საგამოცდო ცენტრების მისამართები) მოცემულია დანართ N2-ში.

6.2. აპარატურის მონტაჟის დასრულების და მუშა მდგომარეობაში მოყვანის ვადაა არაუგვიანეს 2023 წლის 01 ივლისი (ტექნიკური რეპეტიციის დღე).

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია დემონტაჟი განახორციელოს კონკრეტულ საგამოცდო ცენტრში გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა, ხოლო ტრანსპორტირება (მისამართზე: ქ.თბილისი, ე.მინდელის ქ.N9-ში) განახორციელოს გამოცდების სრულად დამთავრებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში (გამოცდების დასრულების ზუსტი გრაფიკი საგამოცდო ცენტრების მიხედვით მიმწოდებელს ეცნობება დამატებით).

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

7.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო ინფორმაცია.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- დროულად, ჯეროვნად, ხარისხიანად, მაღალკვალიფიციურად და სრულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.

7.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 8. გარანტია

8.1. საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს გამოცდების მსვლელობისას გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზის/დაზიანების აღმოფხვრა შეტყობინებისთანავე ნებისმიერ საგამოცდო ცენტრში, ვისი ან/და რისი მიზეზითაც არ უნდა იყოს დაზიანება გამოწვეული.

8.2. მიმწოდებლის ბრალეულობით ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში (დემონტაჟის, ტრანსპორტირების და ნებისმიერ სხვა შემთხვევის დროს), იგი ვალდებულია აღმოფხვრას გამოვლენილი დაზიანება ან შეცვალოს ახლით.

მუხლი 9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის, შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების და

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების რეგულირების საკითხებში მიმწოდებელთან განახორციელებს ცენტრის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირები, კერძოდ: **საგამოცდო ცენტრების ადმინისტრატორები.**

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

10.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

მუხლი 11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება მეორე მხარის მიერ წერილობითი მოთხოვნის შემდეგ. ამ შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.2. 6.2. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება, მოსთხოვოს მიმწოდებელს 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა.

11.3. 6.3. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება მეორე მხარის მიერ წერილობითი მოთხოვნის შემდეგ. თუ ამ პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ს, მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებები ჩაეთვლება შეუსრულებლად. ამ შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება, მათ შორის 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა.

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5 პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს წერილობითი მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

12.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

12.2. „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს 13 ბრძანების მე-11 მუხლის 11-ლი და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, მიმწოდებელმა წარმოადგინა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით. საბანკო გარანტია გამოიყენებული იქნება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებისათვის.

12.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება შემსრულებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყონებლივ დაბრუნება.

12.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.
12.5. გარანტია უნდა იყოს უპირობო, კერძოდ: გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.

მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
13.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
13.4. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია საქონლის ან მისი ნაწილის მოწოდება;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
13.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
13.6. მხარე ვალდებულია 13.4. და 13.5 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.
13.7. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
13.8. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეებს შეექმნებათ რაიმე ხელშემშლელი გარემოებები, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მუხლი 16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი

პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მუხლი 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 სექტემბრამდე.

მუხლი 18. სხვა პირობები

18.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
18.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
18.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
18.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული ფორმატით, რომლის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ელექრონული დოკუმენტი ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მუხლი 19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	**შპს „ორიენტ ლოჯიკ“**
ქ. თბილისი, მინდელის ქ. #9	ქ. თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქუჩა, N71
ს/კ 202198727	ს/კ: 202052054
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს. ბაზის ბანკი
ანგარიშის N707627112	ბ/კ CBASGE22
	ა/ა GE96 BS00 0000 0005 9368 72
სოფიო გორგოძე დირექტორი	**ვასო გოძიაშვილი** დირექტორი

ORIENT LOGIC LLC
Digitally signed by ORIENT LOGIC LLC
Date: 2023.06.15 13:48:20 +04'00'

ტექნიკური დავალება
შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

1. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს 25 საგამოცდო ცენტრში კომპიუტერული და ელექტრო ქსელის ინფრასტრუქტურის მონტაჟი (კომპ. და ელ. ქსელის მილების ტექნიკური შემოწმება, ახლების დამზადება, ტრანსპორტირება ორივე მხარეს, დატვირთვა, ჩამოტვირთვა, მონტაჟი, საექსპლუატაციო რეჟიმში მოყვანა და შემდგომ დემონტაჟი).
2. საგამოცდო ცენტრებში არსებული ქსელის ინვენტარის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართ N2-ში.
3. აუცილებელია სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სკოლების თანდართული სქემების შესაბამისად;
4. აუცილებელია სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე, მიმწოდებლის წარმომადგენელი დაუკავშირდეს საგამოცდო ცენტრის ადმინისტრატორს და მასთან შეთანხმებით დაგეგმოს სამუშაოების მიმდინარეობა და შეაჯეროს ადმინისტრატორის ხელთ არსებული ინფორმაცია სქემების შესახებ;
5. გასული წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, საგამოცდო ცენტრებში გამოცდების პერიოდში მიმწოდებლის თანამშრომლების ადგილზე ყოფნა საჭირო არ არის;
6. აუცილებელია წარმომადგენლები წარმომადგენლები, დაესწრონ საგამოცდო ცენტრში ტექნიკურ და გენერალურ რეპეტიციებს, პრობლემების წარმოქმნისას აღმოფხვრან ისინი;
7. თანდართულ ფაილში, სვეტებში: "ელ. ყუთი შესაძლო დასამატებელი სექტორებისთვის" და "საგამოცდო მასალები შესაძლო დასამატებელი სექტორებისთვის", მითითებულია იმ სექტორების მასალების რაოდენობა, რომელთა მონტაჟიც სავარაუდოდ გახდება საჭირო. ისინი განთავსდება სპორტულ და სააქტო დარბაზებში, ან ისეთ ოთახებში, რომლებიც გასულ წლებში არ იყო სექტორებად გამოყენებული. ნახაზებზე ეს სივრცე აღნიშნულია ცისფრად.

I ეტაპი:

პირველი ნაწილი - მომზადება:

1. სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საწყობში და საგამოცდო ცენტრებში უნდა მოხდეს დროებითი კომპიუტერული და ელექტრო ქსელების მილების დახარისხება, დათვლა (ეცნობოს შემსყიდველს ელფოსტის საშუალებით ცენტრებში რაოდენობების შესახებ თანდართული ექსელის ცხრილით), გატესტვა, გადაწყობა, საჭირო რაოდენობის ახლის დამზადება და მიყვანა მუშა კონდიციამდე.
2. უნდა მოხდეს დროებითი კომპიუტერული და ელექტრო ქსელების ახალი მილების დამზადება.
3. საკომუტაციო ყუთების (სვიჩი) გატესტვა, საჭიროების შემთხვევაში გადაწყობა და ახლის დამზადება და მიყვანა სამუშაო კონდიციამდე.
4. დროებითი კომპიუტერული და ელექტრო ქსელის მილების და საკომუტაციო ყუთის (სვიჩი) დაკომპლექტება/მომზადება უსაფრთხო ტრანსპორტირებისთვის (შეკვრა და ა.შ.)
5. ტრანსპორტირების დაწყებამდე ელფოსტით (nkiria@naec.ge) უნდა ეცნობოს შემსყიდველის ფინანსურ განყოფილებას ინვენტარის სახეობების და რაოდენობების შესახებ და სხვა საჭირო ინფორმაცია სატრანსპორტო ზედნადებისთვის
6. უნდა მოხდეს დატვირთვა, ადგილამდე ტრანსპორტირება, ჩამოცლა და ჩაბარება პასუხისმგებელ პირზე.
7. სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საწყობში არსებული მასალის გარდა **(ქსელის კაბელი, პლასტმასის მილები, გოფრირებული მილები, სამკაპები, ქუროები, ელ.კაბელი, როზეტები (დედალი), ელ.ჩანგლები (მამალი))**, სხვა სახარჯი მასალებით პროექტს უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

მეორე ნაწილი - კომპ. და ელ. ქსელის აწყობა:

1. არსებული სამაგისტრალო ლინკების გატესტვა, რომლებიც დაკავშირებულია ე.წ. სერვერის ოთახიდან საგამოცდო სექტორებთან.
2. თბილისის N175 (ბ ბლოკი); თბილისის N39; თბილისის N207 საგამოცდო სკოლებში ჩატარდა გარკვეული სახის სარემონტო სამუშაოები, რის გამოც გარდა სრული გაყვანილობის რევიზიისა, საჭირო იქნება გარკვეული ნაწილის აღდგენა;
3. ახალ საგამოცდო ცენტრებში, კერძოდ: ქ.ამბროლაურის N1, ქ.ქუთაისის N23 და ქ.ზუგდიდის N3 საჯარო სკოლებში უნდა განხორციელდეს ახალი ელექტრო და კომპიუტერული ქსელის მონტაჟი, კაბელები უნდა ჩაიდოს საკაბელო არხებში;
4. უნდა მოხდეს შემოწმება მიეწოდება თუ არა ელ. ენერგია საგამოცდო სექტორებში.
5. უნდა შემოწმდეს, არის თუ არა საგამოცდო სექტორებში ალტერნატიული კვების წყაროები ელექტრო და კომპიუტერული ქსელებისთვის.
6. იმ შემთხვევაში თუ ქსელის კაბელები და ელექტროობა არ არის მიყვანილი საგამოცდო სექტორებში ან დაზიანებულია, ელექტრო და კომპიუტერული ქსელის კაბელები იქნება ხელახლა გასაყვანი (უნდა შემოწმდეს ადგილზე და უნდა შეუთანხმდეს პასუხისმგებელ პირს)
7. საკომუტაციო ყუთი (სვიჩი) და დროებითი კომპ. და ელ. ქსელის მილები უნდა დამონტაჟდეს მაგიდებზე საგამოცდო სექტორებში (სწორედ დალაგდეს, შეიკრას, დამაგრდეს მაგიდაზე, გაიტესტოს ქსელის კაბელები, შემოწმდეს დენის მიწოდება ელ. როზეტებში, დაერთდეს კომუტატორზე), საკომუტაციო ყუთში აუცილებელია იყოს სათადარიგო კაბელი.
8. საკომუტაციო ყუთების და მაგისტრალური სვიჩების მონტაჟისთვის დამაგრძელებლების საჭიროების წინასწარ შეფასება და მოთხოვნა შემსყიდველის საწყობიდან (და არა საგამოცდო ცენტრში არსებული მარაგიდან).
9. საჭიროებიდან გამომდინარე საგამოცდო ცენტრში უნდა მოხდეს მაგისტრალური სვიჩების მონტაჟი.
10. თბილისის N117 საჯარო სკოლაში სასერვერო ოთახში უნდა იყოს შეყვანილი სკოლაში მოქმედი ინტერნეტის კაბელი, რომელიც უნდა წვდებოდეს სერვერამდე. იმ შემთხვევაში თუ ასეთი კაბელი არსებობს ოთახში, უნდა შემოწმდეს და მასზე მოხდეს მარკირება თუ რისი კაბელია ეს, ხოლო თუ არ არის სასერვერო ოთახში მსგავსი ტიპის კაბელი, მისი გაყვანა უნდა მოხდეს სკოლის კომპიუტერული ოთახიდან შესაბამისი მარკირებით.
11. მიმწოდებელმა მონტაჟის დასრულების და გენერალური რეპეტიციის ჩატარების შემდეგ უნდა გადააბაროს ქსელი საგამოცდო ცენტრში მყოფ ადმინისტრატორს და IT მენეჯერებს, რაზედაც უნდა გაფორმდეს შესაბამისი დოკუმენტი; ასევე ფიზიკურად უნდა მოხდეს მაგისტრალური სვიჩების განლაგების ჩვენება.
12. მიმწოდებელმა ყველა საგამოცდო ცენტრში უნდა დატოვოს ჯეკმეიკერი (ერთი ან ორი, საგამოცდო ცენტრის სიდიდიდან გამომდინარე) და ჯეკების გარკვეული რაოდენობა (ჩააბაროს IT მენეჯერს მიღება-ჩაბარების აქტით და ასევე დაიბრუნოს ჯეკმეიკერი და ჯეკების დარჩენილი (არსებობის შემთხვევაში) ნაწილი.
13. მიმწოდებელმა აღნიშნული პროექტისთვის უნდა გამოყოს საკონტაქტო პირი.

II ეტაპი:

მესამე ნაწილი - დროებითი ქსელის დაშლა და ტრანსპორტირება:

1. საგამოცდო პერიოდის დასრულების შემდეგ საკომუტაციო ყუთი, კომპ. და ელ. ქსელი უნდა დაიშალოს, და მომზადდეს ტრანპორტირებისთვის (ნაწილობრივად დაიშალოს, შეიკრას, დახარისხდეს და გადაითვალოს) ტრანსპორტირების დაწყებამდე ელ.ფოსტით (nkiria@naec.ge) უნდა ეცნობოს შემსყიდველის ფინანსურ განყოფილებას ინვენტარის სახეობების და რაოდენობების შესახებ და სხვა საჭირო ინფორმაცია სატრანსპორტო ზედნადებისთვის
2. ტრანსპორტში დაიტვირთოს და პასუხისმგებელ პირთან ერთად განახორციელოს რაოდენობრივად ჩაბარება. გამოგზავნილ მასალას აუცილებლად უნდა ახლდეს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, მასალის ჩამონათვალისა და რაოდენობების მითითებით. შემოწმდეს უკან დაბრუნებული მასალების და აპარატურის რაოდენობა

3. ინვენტარის საგამოცდო ცენტრში დასაწყობების შემთხვევაში (რის შესახებაც ეცნობება მიმწოდებელს დამატებით), დაითვალოს როგორც მანამდე არსებული ასევე მიმწოდებლის ჩატანილი ადგილზე დასატოვებელი ინვენტარის რაოდენობა და ეცნობოს შემსყიდველს ელფოსტის საშუალებით რაოდენობების შესახებ თანდართული ექსელის ცხრილით, რაზედაც უნდა გაფორმდეს შესაბამისი დოკუმენტი.
4. საწყობში (თბილისი, მინდელის ქ.N9) მოტანის და ჩაბარების მომენტში უნდა შემოწმდეს მოტანილი მასალების და აპარატურის რაოდენობა და ჩაბარდეს პასუხისმგებელ პირს.
5. ანაზღაურება მოხდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.
6. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ანგარიში თითოეული საგამოცდო ცენტრის მიხედვით.

შემსყიდველი:

სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
ქ. თბილისი, მინდელის ქ. #9
ს/კ 202198727
სახელმწიფო ხაზინა
ანგარიშის N707627112

სოფიო გოროგოძე
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს „ორიენტ ლოჯიკ"
ქ. თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქუჩა, N71
ს/კ: 202052054
ს.ს. ბაზის ბანკი
ბ/კ CBASGE22
ა/ა GE96 BS00 0000 0005 9368 72

ვაჟა ნასყიდაშვილი
დირექტორი

N	საგამოცდო ცენტრი	მისამართი	საჭირო რაოდენობა/ ადგილზეა	ელ. ყუთი	საგამოცდო მასალები							ელ. ყუთი შესაძლო დასამატებელი სეტტორებისთვის	საგამოცდო მასალები შესაძლო დასამატებელი სეტტორებისთვის			კომენტარი
					დ 5	ქ 5	დ 3	ქ 3	დ 2	ქ 2	მაგ		დ 5	ქ 5	მაგ	
1	თბილისის 39-ე საჯარო სკოლა	ქ.თბილისი, გლდანის 1-ლი მ/რ	**საჭირო რაოდენობა**	**33**	**99**	**99**	**4**	**4**			**3**	**6**	**18**	**18**	**1**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება
			ადგილზეა შენახული	38	110	110	10	10	9	9	6					
2	თბილისის 103-ე საჯარო სკოლა	ქ.თბილისი, მესხეთის ქ.72	**საჭირო რაოდენობა**	**42**	**126**	**126**					**4**	**6**	**18**	**18**	**0**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება
			ადგილზეა შენახული	41	105	105	16	16			4					
3	თბილისის 117-ე საჯარო სკოლა	ქ.თბილისი, თრიალეთის ქ. 7	**საჭირო რაოდენობა**	**41**	**120**	**120**	**1**	**1**			**4**	**4**	**12**	**12**	**0**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება. გამოცდების დასრულების შემდეგ საჭირო იქნება სრულად ტრანსპორტირება უკან შეფუსებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში
			ადგილზეა შენახული	44	82	82	1	1	6	6	5					
4	თბილისის 133-ე საჯარო სკოლა	თბილისი, ვარდისუბნის ქ. 8	**საჭირო რაოდენობა**	**37**	**108**	**108**	**1**	**1**			**3**	**4**	**12**	**12**	**0**	საჭიროა სრულად ტრანსპორტირება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან. გამოცდების დასრულების შემდეგ საჭირო იქნება სრულად ტრანსპორტირება უკან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში
			ადგილზეა შენახული													
5	თბილისის 175-ე საჯარო სკოლა (ა)	ქ.თბილისი, მუხიანის მე-3 მ/კ	**საჭირო რაოდენობა**	**38**	**104**	**104**	**3**	**3**			**3**	**6**	**18**	**18**	**1**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება
			ადგილზეა შენახული	42	112	112	9	9	4	4	3					
6	თბილისის 175-ე საჯარო სკოლა (ბ)	ქ.თბილისი, მუხიანის მე-3 მ/კ	**საჭირო რაოდენობა**	**37**	**108**	**108**	**1**	**1**			**3**	**6**	**18**	**18**	**1**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება
			ადგილზეა შენახული	38	102	102	6	6	4	4	3					
7	თბილისის 177-ე საჯარო სკოლა	ქ.თბილისი, გლდანის მე-5 მ/რ	**საჭირო რაოდენობა**	**37**	**96**	**96**	**8**	**8**			**3**	**6**	**18**	**18**	**1**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება
			ადგილზეა შენახული	37	100	100	8	8			3					
8	თბილისის 191-ე საჯარო სკოლა	თბილისი, დავით ჯაბიძის ქ. N30	**საჭირო რაოდენობა**	**33**	**87**	**87**	**7**	**7**			**3**	**6**	**18**	**18**	**1**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება
			ადგილზეა შენახული	39	89	89	9	9			3					
9	თბილისის 207-ე საჯარო სკოლა	ქ.თბილისი, ჩარგლის ქ. 34	**საჭირო რაოდენობა**	**30**	**84**	**84**	**4**	**4**			**3**				**0**	საჭიროა სრულად ტრანსპორტირება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან. გამოცდების დასრულების შემდეგ საჭირო იქნება სრულად ტრანსპორტირება უკან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში
			ადგილზეა შენახული													
10	ქუთაისის 23-ე საჯარო სკოლა	ქ.ქუთაისი, არაყიშვილის ქ. №15	**საჭირო რაოდენობა**	**37**	**99**	**99**	**8**	**8**			**5**	**5**	**15**	**15**	**0**	ქუთაისის N1 საჯარო სკოლაშია დასაწყობებული ელექტრო ყუთებიც და მილებიც. საჭიროა შიდა ტრანსპორტირება ქუთაისის N23 სკოლაში და გამოცდების შემდეგ დასაწყობდება ადგილზე
			N1 სკოლაშია შენახული	47	120	123	28	27	4	4	5					
11	ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლა	ქ.ქუთაისი, ნიკეას №44	**საჭირო რაოდენობა**	**31**	**93**	**93**	**4**	**4**			**3**	**6**	**18**	**18**	**1**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება
			ადგილზეა შენახული	37	81	81	10	6	2	2	3					
12	ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლა	ქ.ქუთაისი, რუსთაველის ქ. 127	**საჭირო რაოდენობა**	**26**	**75**	**75**	**4**	**4**			**3**	**3**	**9**	**9**	**0**	საჭიროა სრულად ტრანსპორტირება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან. გამოცდების დასრულების შემდეგ საჭირო იქნება სრულად ტრანსპორტირება უკან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში
			ადგილზეა შენახული													
13	აშბროლაურის 1-ლი საჯარო სკოლა	ქ.აშბროლაური, ვ. კობახიძის ქ. №2	**საჭირო რაოდენობა**	**7**	**12**	**12**	**6**	**6**			**0**				**0**	საჭიროა სრულად ტრანსპორტირება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან. გამოცდების შემდეგ დასაწყობდება ადგილზე
			ადგილზეა შენახული													
14	ბათუმის 1-ლი საჯარო სკოლა	ქ.ბათუმი, დ. თავდადებულის 47	**საჭირო რაოდენობა**	**26**	**75**	**75**	**2**	**2**			**3**				**0**	საჭიროა სრულად ტრანსპორტირება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან. გამოცდების დასრულების შემდეგ საჭირო იქნება სრულად ტრანსპორტირება უკან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში
			ადგილზეა შენახული													
15	ბათუმის მე-10 საჯარო სკოლა	ქ.ბათუმი, ბაგრატიონის 121	**საჭირო რაოდენობა**	**27**	**78**	**78**	**2**	**2**			**3**				**0**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება
			ადგილზეა შენახული	29	72	74	2	2			3					
16	ბათუმის მე-14 საჯარო სკოლა	ქ.ბათუმი, ინასარიძის ქ. 11	**საჭირო რაოდენობა**	**30**	**90**	**90**					**3**				**0**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება
			ადგილზეა შენახული	38	86	88	2	5	7	9	3					
17	ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლა	ქ.ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. 9	**საჭირო რაოდენობა**	**16**	**48**	**48**	**8**	**8**			**0**	**12**	**36**	**36**	**0**	ადგილზეა დასაწყობებული ელექტრო ყუთი. ოზურგეთის მე-3 საჯარო სკოლაშია დასაწყობებული მხოლოდ მილები (საჭიროა შიდა ტრანსპორტირება, როგორც გამოცდებამდე, ისე გამოცდების შემდეგ).
			N3 სკოლაშია შენახული	16	45	46	6	6								
18	ფოთის მე-3 საჯარო სკოლა	ქ.ფოთი, ზამბახიძის ქ. 3	**საჭირო რაოდენობა**	**18**	**48**	**48**	**4**	**4**			**3**				**0**	ადგილზეა დასაწყობებული 26 ელექტრო ყუთი. მილების ტრანსპორტირება საჭიროა სრულად შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან
			ადგილზეა შენახული	26							2					
19	ზუგდიდის მე-3 საჯარო სკოლა	ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №192	**საჭირო რაოდენობა**	**15**	**33**	**33**	**8**	**8**			**2**				**0**	საჭიროა სრულად ტრანსპორტირება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან. გამოცდების დასრულების შემდეგ საჭირო იქნება სრულად ტრანსპორტირება უკან შეფასებისა და გამოცდების
			ადგილზეა შენახული													
20	ზუგდიდის მე-4 საჯარო სკოლა	ქ. ზუგდიდი, ცოტნე დადიანის ქ. №10	**საჭირო რაოდენობა**	**30**	**78**	**78**	**6**	**6**			**3**	**12**	**36**	**36**	**0**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება
			ადგილზეა შენახული	30	78	78	6	6			3					
21	გორის მე-3 საჯარო სკოლა	ქ.გორი, დ.ამილახვარის ქ. 26	**საჭირო რაოდენობა**	**40**	**108**	**108**	**8**	**8**			**5**	**1**	**3**	**3**	**0**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება
			ადგილზეა შენახული	43	148	156	33	25	15	10	5					
22	თელავის მე-8 საჯარო სკოლა	ქ.თელავი, თამარის ქ. 69	**საჭირო რაოდენობა**	**27**	**81**	**81**	**4**	**4**			**3**	**3**	**9**	**9**	**0**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება. გამოცდების დასრულების შემდეგ საჭირო იქნება სრულად ტრანსპორტირება უკან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში
			ადგილზეა შენახული	33	90	90	8	8			6					
23	ახალციხის 1-ლი საჯარო სკოლა	ქ. ახალციხე, მიქუტაშვილის ქ.№2	**საჭირო რაოდენობა**	**39**	**111**	**111**			**2**	**2**	**4**	**5**	**15**	**15**	**1**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება
			ადგილზეა შენახული	51	155	155	5	5	8	8	5					
24	რუსთავის მე-15 საჯარო სკოლა	ქ.რუსთავი, მე-8 მ/რ	**საჭირო რაოდენობა**	**41**	**114**	**114**	**10**	**10**			**4**	**4**	**12**	**12**	**0**	საჭიროა სრულად ტრანსპორტირება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან. გამოცდების დასრულების შემდეგ საჭირო იქნება სრულად ტრანსპორტირება უკან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში
			ადგილზეა შენახული													
25	ხულოს საგამოცდო ცენტრი	დ.ხულო, შავაძის ქ. 3	**საჭირო რაოდენობა**	**7**	**15**	**15**	**4**	**4**			**0**				**0**	ადგილზეა დასაწყობებული, რევიზიის შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მილების დამატებით დამზადება
			ადგილზეა შენახული	13	35	35	5	5	4	4						

ფასების ცხრილი

ორგანიზაციის დასახელება: შპს ორიენტ ლოჯიკი

დანართი 3

ცხრილი 1.1.

N	საგამოცდო ცენტრი	I ეტაპი - კომპიუტერული ქსელის და დენის ინფრასტრუქტურის მონტაჟი (აპარატურის ტექნიკური შემოწმება, ტრანსპორტირება, მონტაჟი, საექსპლუატაციო რეჟიმში მოყვანა)										
		1 ცალი 5დ მონტაჟის ღირებულება	1 ცალი 5ქ მონტაჟის ღირებულება	5დ და 5ქ ცალ-ცალკე საორიენტაციო რაოდენობა	1 ცალი 3დ მონტაჟის ღირებულება	1 ცალი 3ქ მონტაჟის ღირებულება	3დ და 3ქ ცალ-ცალკე საორიენტაციო რაოდენობა	1 საკომუტაციო ყუთის (სვიჩი) მონტაჟი	საკომუტაციო ყუთის (სვიჩი) საორიენტაციო რაოდენობა	1 მაგისტრალური სვიჩის მონტაჟი	მაგისტრაული სვიჩების საორიენტაციო რაოდენობა	ჯამი (ლარი)
1	თბილისის 39-ე საჯარო სკოლა	20.00	20.00	117.00	13.00	13.00	4.00	27.00	39.00	50.00	4.00	6,037.00
2	თბილისის 103-ე საჯარო სკოლა	20.00	20.00	144.00	13.00	13.00	-	27.00	48.00	50.00	4.00	7,256.00
3	თბილისის 117-ე საჯარო სკოლა	20.00	20.00	132.00	13.00	13.00	1.00	27.00	45.00	50.00	4.00	6,721.00
4	თბილისის 133-ე საჯარო სკოლა	20.00	20.00	120.00	13.00	13.00	1.00	27.00	49.00	50.00	3.00	6,299.00
5	თბილისის 175-ე საჯარო სკოლა (ა)	20.00	20.00	122.00	13.00	13.00	3.00	27.00	44.00	50.00	4.00	6,346.00
6	თბილისის 175-ე საჯარო სკოლა (ბ)	20.00	20.00	126.00	13.00	13.00	1.00	27.00	43.00	50.00	4.00	6,427.00
7	თბილისის 177-ე საჯარო სკოლა	20.00	20.00	114.00	13.00	13.00	8.00	27.00	43.00	50.00	4.00	6,129.00
8	თბილისის 191-ე საჯარო სკოლა	20.00	20.00	105.00	13.00	13.00	7.00	27.00	39.00	50.00	4.00	5,635.00
9	თბილისის 207-ე საჯარო სკოლა	20.00	20.00	84.00	13.00	13.00	4.00	27.00	30.00	50.00	3.00	4,424.00
10	ქუთაისის 23-ე საჯარო სკოლა	20.00	20.00	114.00	13.00	13.00	8.00	27.00	42.00	50.00	5.00	6,152.00
11	ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლა	20.00	20.00	111.00	13.00	13.00	4.00	27.00	37.00	50.00	4.00	5,743.00
12	ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლა	20.00	20.00	84.00	13.00	13.00	4.00	27.00	29.00	50.00	3.00	4,397.00
13	ამბროლაურის 1-ლი საჯარო სკოლა	20.00	20.00	12.00	13.00	13.00	6.00	27.00	7.00	50.00	-	825.00
14	ბათუმის 1-ლი საჯარო სკოლა	20.00	20.00	75.00	13.00	13.00	2.00	27.00	26.00	50.00	3.00	3,904.00
15	ბათუმის მე-10 საჯარო სკოლა	20.00	20.00	78.00	13.00	13.00	2.00	27.00	27.00	50.00	3.00	4,051.00
16	ბათუმის მე-14 საჯარო სკოლა	20.00	20.00	90.00	13.00	13.00	-	27.00	30.00	50.00	3.00	4,560.00
17	ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლა	20.00	20.00	84.00	13.00	13.00	8.00	27.00	28.00	50.00	-	4,324.00
18	ფოთის მე-3 საჯარო სკოლა	20.00	20.00	48.00	13.00	13.00	4.00	27.00	18.00	50.00	3.00	2,660.00
19	ზუგდიდის მე-3 საჯარო სკოლა	20.00	20.00	33.00	13.00	13.00	8.00	27.00	15.00	50.00	2.00	2,033.00
20	ზუგდიდის მე-4 საჯარო სკოლა	20.00	20.00	114.00	13.00	13.00	6.00	27.00	42.00	50.00	3.00	6,000.00
21	გორის მე-3 საჯარო სკოლა	20.00	20.00	111.00	13.00	13.00	8.00	27.00	41.00	50.00	5.00	6,005.00
22	თელავის მე-8 საჯარო სკოლა	20.00	20.00	90.00	13.00	13.00	4.00	27.00	30.00	50.00	3.00	4,664.00
23	ახალციხის 1-ლი საჯარო სკოლა	20.00	20.00	126.00	13.00	13.00	2.00	27.00	44.00	50.00	5.00	6,530.00
24	რუსთავის მე-15 საჯარო სკოლა	20.00	20.00	126.00	13.00	13.00	10.00	27.00	45.00	50.00	4.00	6,715.00
25	ხულოს საგამოცდო ცენტრი	20.00	20.00	15.00	13.00	13.00	4.00	27.00	7.00	50.00	-	893.00
	ჯამი, დღგ-ს ჩათვლით											**124,730.00**

ცხრილი 1.2.

N	საგამოცდო ცენტრი	II ეტაპი - კომპიუტერული ქსელის და დენის ინფრასტრუქტურის დემონტაჟი (დემონტაჟი, ტრანსპორტირება, დასაწყობება)										
		1 ცალი 5დ დემონტაჟის ღირებულება	1 ცალი 5ქ დემონტაჟის ღირებულება	5დ და 5ქ ცალ-ცალკე საორიენტაციო რაოდენობა	1 ცალი 3დ დემონტაჟის ღირებულება	1 ცალი 3ქ დემონტაჟის ღირებულება	3დ და 3ქ ცალ-ცალკე საორიენტაციო რაოდენობა	1 საკომუტაციო ყუთის (სვიჩი) დემონტაჟი	საკომუტაციო ყუთის (სვიჩი) საორიენტაციო რაოდენობა	1 მაგისტრალური სვიჩის დემონტაჟი	მაგისტრაული სვიჩების საორიენტაციო რაოდენობა	ჯამი (ლარი)
1	თბილისის 39-ე საჯარო სკოლა	8.00	8.00	117.00	5.00	5.00	4.00	27.00	39.00	50.00	4.00	3,165.00
2	თბილისის 103-ე საჯარო სკოლა	8.00	8.00	144.00	5.00	5.00	-	27.00	48.00	50.00	4.00	3,800.00
3	თბილისის 117-ე საჯარო სკოლა	8.00	8.00	132.00	5.00	5.00	1.00	27.00	45.00	50.00	4.00	3,537.00
4	თბილისის 133-ე საჯარო სკოლა	8.00	8.00	120.00	5.00	5.00	1.00	27.00	49.00	50.00	3.00	3,403.00
5	თბილისის 175-ე საჯარო სკოლა (ა)	8.00	8.00	122.00	5.00	5.00	3.00	27.00	44.00	50.00	4.00	3,370.00

6	თბილისის 175-ე საჯარო სკოლა (B)	8.00	8.00	126.00	5.00	5.00	1.00	27.00	43.00	50.00	4.00	3,387.00
7	თბილისის 177-ე საჯარო სკოლა	8.00	8.00	114.00	5.00	5.00	8.00	27.00	43.00	50.00	4.00	3,265.00
8	თბილისის 191-ე საჯარო სკოლა	8.00	8.00	105.00	5.00	5.00	7.00	27.00	39.00	50.00	4.00	3,003.00
9	თბილისის 207-ე საჯარო სკოლა	8.00	8.00	84.00	5.00	5.00	4.00	27.00	30.00	50.00	3.00	2,344.00
10	ქუთაისის 23-ე საჯარო სკოლა	8.00	8.00	114.00	5.00	5.00	8.00	27.00	42.00	50.00	5.00	3,288.00
11	ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლა	8.00	8.00	111.00	5.00	5.00	4.00	27.00	37.00	50.00	4.00	3,015.00
12	ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლა	8.00	8.00	84.00	5.00	5.00	4.00	27.00	29.00	50.00	3.00	2,317.00
13	ამბროლაურის 1-ლი საჯარო სკოლა	8.00	8.00	12.00	5.00	5.00	6.00	27.00	7.00	50.00	-	441.00
14	ბათუმის 1-ლი საჯარო სკოლა	8.00	8.00	75.00	5.00	5.00	2.00	27.00	26.00	50.00	3.00	2,072.00
15	ბათუმის მე-10 საჯარო სკოლა	8.00	8.00	78.00	5.00	5.00	2.00	27.00	27.00	50.00	3.00	2,147.00
16	ბათუმის მე-14 საჯარო სკოლა	8.00	8.00	90.00	5.00	5.00	-	27.00	30.00	50.00	3.00	2,400.00
17	ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლა	8.00	8.00	84.00	5.00	5.00	8.00	27.00	28.00	50.00	-	2,180.00
18	ფოთის მე-3 საჯარო სკოლა	8.00	8.00	48.00	5.00	5.00	4.00	27.00	18.00	50.00	3.00	1,444.00
19	ზუგდიდის მე-3 საჯარო სკოლა	8.00	8.00	33.00	5.00	5.00	8.00	27.00	15.00	50.00	2.00	1,113.00
20	ზუგდიდის მე-4 საჯარო სკოლა	8.00	8.00	114.00	5.00	5.00	6.00	27.00	42.00	50.00	3.00	3,168.00
21	გორის მე-3 საჯარო სკოლა	8.00	8.00	111.00	5.00	5.00	8.00	27.00	41.00	50.00	5.00	3,213.00
22	თელავის მე-8 საჯარო სკოლა	8.00	8.00	90.00	5.00	5.00	4.00	27.00	30.00	50.00	3.00	2,440.00
23	ახალციხის 1-ლი საჯარო სკოლა	8.00	8.00	126.00	5.00	5.00	2.00	27.00	44.00	50.00	5.00	3,474.00
24	რუსთავის მე-15 საჯარო სკოლა	8.00	8.00	126.00	5.00	5.00	10.00	27.00	45.00	50.00	4.00	3,531.00
25	ხულოს საგამოცდო ცენტრი	8.00	8.00	15.00	5.00	5.00	4.00	27.00	7.00	50.00	-	469.00
	ჯამი, დღგ-ს ჩათვლით											**65,986.00**

ცხრილი 1.3.

N	დასახელება	საორიენტაციო რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	5 ადგილიანი ქსელის გამანაწილებლის დამზადება	380.00	56.50	21,470.00
2	5 ადგილიანი დენის გამანაწილებლის დამზადება	400.00	56.50	22,600.00
	ჯამი, დღგ-ს ჩათვლით			**44,070.00**

ცხრილი 1.1.-ის, ცხრილი 1.2.-ის და ცხრილი 1.3-ის ჯამური ღირებულება	**234,786.00**

ელ.ხელმოწერა ან ელ.შტამპი:

ბაზისბანკი
ჰუალინგ ჯგუფის წევრი

საბანკო გარანტია # 272792
(ხელშეკრულების შესრულების)

14 ივნისი 2023 წელი

პრინციპალი	შპს ორიენტ ლოჯიკი (მისამართი: ვ. გოძიაშვილის ქ. #71,ს/კ 202052054)
ბენეფიციარი	სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (მისამართი:ქ.თბილისი მინდელის ქ. #9,ს/კ 202198727)
გარანტი	სს „ბაზისბანკი" (მისამართი: ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზირი #1, ს/კ 203841833).
საგარანტიო თანხის ზღვრული მოცულობა	5,675.00(ხუთი ათას ექვსას სამოცდათხუთმეტი) ლარი

გარანტიის გაცემის საფუძველი:

- ბენეფიციარის მიერ კომპიუტერული და ელექტრო ქსელის ინფრასტრუქტურის სამონტაჟო სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერი SMP230001556 (2023 წლის 13 ივნისის განკარგულება N1748)
- პრინციპალის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება, რომლის საფუძველზეც იგი ვალდებულია წარადგინოს საბანკო გარანტია, ტენდერში გამარჯვების შედეგად გასაფორმებელი ხელშეკრულების (შემდგომში „კონტარქტი") უზრუნველსაყოფად.

გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება:

წინამდებარე საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებას.

გარანტი, გარანტსა და პრინციპალს შორის 2023 წლის 14 ივნისს გაფორმებული საბანკო გარანტიის #2023-06-14/0038/LLG/006041/290ხელშეკრულების საფუძველზე, პრინციპალის მიერ ზემოთ მითითებული ვალდებულებ(ებ)ის ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ბენეფიციარის წინაშე კისრულობს უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე, მოთხოვნის მიღების დღიდან მომდევნო 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში, გადაუხადოს ბენეფიციარს ფულადი თანხა საგარანტიო თანხის ფარგლებში.

საგარანტიო თანხის მოთხოვნა:

გარანტის მიერ საგარანტიო თანხის გადახდა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალის მიერ არ შესრულდა წინამდებარე საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება/ვალდებულებები.

ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ მითითებული უნდა იყოს მოთხოვნილი თანხა და ის თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ იმ ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფად გაიცა წინამდებარე საგარანტიო წერილი, ბენეფიციარის მხრიდან პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტის მტკიცებისა და მოთხოვნილი თანხის მოცულობის დასაბუთების გარეშე. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს წინამდებარე საბანკო გარანტიის ასლი.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე გარანტს უნდა წარედგინოს ზემოთ მითითებულ მისამართზე, წინამდებარე საგარანტიო წერილის მოქმედების ვადის ამოწურვამდე, თბილისის დროით 18:00 საათამდე.

გარანტიის ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

წინამდებარე გარანტია ძალაში შედის 2023 წლის 14 ივნისიდან და მოქმედებს 2023 წლის 01 ნოემბრის ჩათვლით, თუ კი გარანტიის მოქმედების ვადა მანამდე არ შეწყდა ამავე საბანკო გარანტიის წერილში მითითებული რომელიმე პირობის გამო.

გარანტიის მოქმედების შეწყვეტა:

გარანტიის მოქმედება წყდება ერთ–ერთ ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევაში:

- იმ ვადის გასვლა, რა ვადითაც არის იგი გაცემული;
- პრინციპალის მიერ გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულების სრულად შესრულება;
- გარანტის მიერ გარანტიის თანხის გადახდა;
- ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე უარის წერილობით განცხადება.

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით

ანა ქავთარაძე _____
კომერციული დირექტორის მოადგილე

სალომე იმედაძე _____
ვაჭრობის ფინანსირების მენეჯერი

სს „ბაზისბანკი" BASISBANK
ბაზისბანკი BASISBANK
კომერციული ლეკარიანი
203841833

ბენეფიციარს შეუძლია გადაამოწმოს საბანკო გარანტიის სარწმუნოობა სს „ბაზისბანკის" ინტერნეტ გვერდზე https://guaranteedoc.basisbank.ge